

ხშირად დასმული კითხვები

❖ მუშაობის დაწყება შინაგან საქმეთა სამინისტროში

1. სად ვნახო ინფორმაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებული კონკურსების შესახებ?

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ ვაკანსიებსა და სტაჟირებებზე გამოცხადებულ კონკურსებზე, ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროს დასაქმების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://hr.police.ge/select-vacancies/>

შს სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებში არსებული ვაკანსიები და სტაჟირებები ქვეყნდება შემდეგ ვებ-გვერდებზე:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია - <http://policeacademy.gov.ge/ka>
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - <http://125.ge/ge>
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ - <http://112.gov.ge/>
- მომსახურების სააგენტო - <https://www.sa.gov.ge/>
- ჯანმრთელობის დაცვის სამსახური - <http://hr.police.ge/select-vacancies/>

შს სამინისტროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ვაკანსიები და სტაჟირებები ქვეყნდება მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

- საქართველოს სასაზღვრო პოლიცია - <http://bpg.gov.ge/ge/>
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - <https://es.gov.ge/>

2. როგორ დავიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროში?

სამინისტროში პირი მიიღება კონკურსის წესით, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- აპლიკაციების შეფასება/გადარჩევა;
- ტესტირება (ზოგადი უნარების, ინტელექტის კოეფიციენტის განმსაზღვრელი და პროფესიული ტესტები);
- გასაუბრება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება;
- ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება;
- სპეციალური შემოწმება;

ვაკანტური თანამდებობიდან გამომდინარე კონკურსი შეიძლება არ მოიცავდეს ყველა ეტაპს.

3. რა მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

კანდიდატი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება და განსხვავებულია დასაკავებელი პოზიციის ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად.

4. შემიძლია შს სამინისტროში მუშაობის დაწყება, თუ არ მაქვს გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური?

პოლიციაში შესაძლებელია წვევამდელის ჩარიცხვა. მას პოლიციაში 4 წლის ვადით უწყვეტი სამსახური ჩაეთვლება სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდად და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მიენიჭება რიგითის სამხედრო წოდება.

5. რა მინიმალური განათლებაა საჭირო შს სამინისტროში მუშაობის დასაწყებად?

განათლების ქვედა ზღვარი რეგულირდება დასაკავებელი პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, რომელიც დეტალურად ვაკანსიის აღწერაშია მითითებული.

❖ აპლიკაციის შევსება

6. რა სახით უნდა გაიგზავნოს აპლიკაცია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში?

არჩეულ ვაკანსიაზე აპლიკაცია ივსება და იგზავნება ვებ-გვერდზე ელექტრონულად:
<http://hr.police.ge/select-vacancies/>

7. რა ფორმატით უნდა აიტვირთოს დოკუმენტაცია აპლიკაციაში?

მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა აიტვირთოს ფოტოს სახით, (JPG ფორმატში).

8. სავალდებულოა თუ არა აპლიკაციაში რეკომენდატორის მითითება?

აპლიკაციაში რეკომენდატორის მითითება სავალდებულო არ არის.

❖ ტესტირება/გასაუბრება

9. როგორ მივიღოთ ინფორმაცია ტესტირების/ გასაუბრების თარიღის და ადგილის შესახებ?

ტესტირების/ გასაუბრების თარიღის და ადგილის შესახებ, კანდიდატის ინფორმირება ხდება მოკლე ტექსტური შეტყობინებით HR.MIA-დან.

ტესტირების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება, ასევე, სსიპ-შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://policeacademy.gov.ge/ka/professional-education/testing-and-interviewing-dates>

კონკურსის ტესტირების ეტაპი მიმდინარეობს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მისამართზე: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N4.

კონკურსის გასაუბრების ეტაპი, როგორც წესი, ტარდება შს სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქ. N10)

10. რას მოიცავს ტესტირება?

ტესტირება მოიცავს: ზოგადი ინტელექტის კოეფიციენტის (IQ) და ზოგადი უნარების შესამოწმებელ ტესტს, ასევე გარკვეულ შემთხვევაში პროფესიულ ტესტს.

ტესტის ნიმუშები და დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:

<http://policeacademy.gov.ge/ka/professional-education/admission-procedures>

11. როგორ მოვემზადო გასაუბრებისთვის?

კანდიდატი უნდა იცნობდეს ვაკანსიის აღწერაში მითითებულ საკონკურსო თემატიკას, ასევე დასაკავებელი პოზიციისთვის განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს.

❖ ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება

12. როგორ ხდება ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება?

კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობას შემოწმება ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ (მისამართი: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი #72).

ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება კანდიდატისთვის უფასოა.

13. როგორ ხდება ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება?

კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დადებითი სამედიცინო დასკვნის მიღების შემდგომ, ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება ხდება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით სამუშაოს სპეციფიკის, ასევე კანდიდატის ასაკისა და სქესის გათვალისწინებით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

http://policeacademy.gov.ge/uploads/docs/profedu/pft_ka.pdf

❖ აკადემიაში სწავლა

14. როგორ დავიწყო სწავლა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში და რამდენ ხანს გრძელდება სწავლა?

აკადემიაში საბაზისო მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის წარმატებით გავლის შემდგომ.

საბაზისო მომზადების პროგრამების ხანგრძლივობა როგორც წესი შეადგენს 4 თვეს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ, ბმულზე: <http://policeacademy.gov.ge/ka/professional-education/admission-procedures>

15. ანაზღაურებადია თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სწავლის პერიოდი?

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, საბაზისო კურსის მსმენელები სწავლის პერიოდში იღებენ თანამდებობრივი სარგოს ნახევარს, შემდეგ პოზიციებზე:

- პატრულ-ინსპექტორი
- მართლწესრიგის ოფიცერი
- დეტექტივი
- გამომძიებელი
- უბნის ინსპექტორი

❖ სტაჟირება /სასწავლო პრაქტიკა

16. როგორ გავხდე შინაგან საქმეთა სამინისტროს სტაჟიორი?

სამინისტროში სტაჟიორად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ან არის შესაბამისი დარგის ბაკალავრიატის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი. სტაჟიორად მიღება ხორციელდება სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის და სპეციალური შემოწმების შედეგების გათვალისწინებით.

შს სამინისტროში სტაჟირების გავლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4728954?publication=0>

17. შესაძლებელია თუ არა სამინისტროში სასწავლო პრაქტიკის გავლა?

სამინისტროში სასწავლო პრაქტიკის გავლა შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარდგინების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს სასწავლო პრაქტიკის გეგმა.

შს სამინისტროში სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4728954?publication=0>

❖ სამხედრო სავალდებულო სამსახური

18. შესაძლებელია თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა?

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა შესაძლებელია სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში, ობიექტების დაცვის დეპარტამენტში სამხედრო **სავალდებულო** სამსახურის ან სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტში **საკონტრაქტო** სამსახურის მოხდის წესით (<http://125.ge/ge>).

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2147012?publication=0>

❖ დამატებითი ინფორმაცია

როგორ მივიღო სამინისტროში სამსახურის გავლის შესახებ სრული ინფორმაცია ?

სრული ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებას „შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ შემდეგ ბმულზე:

<https://info.police.ge/uploads/5d96dd7442715.pdf>